ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.31/10/63

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მინეტარული ზღვრების დაცვით)

ქ. თბილისი

04 სექტემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობა, (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – ნიდარ ტურძელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ქარავანი+", წარმოდგენილი დირექტორის ნ. ფარადაშვილი სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ეხელმძღვანელებით რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **შესყიდვის ობიექტი**

1.1. **შესყიდვის ობიექტია:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობისათვის დურბინდის სახელმწიფო შესყიდვა (დანართი N1-ის მიხედვით);

1.2. **კლასიფიკატორის კოდი:** CPV38631000

2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **680 (ექვსასოთხმოცი ლარი 00 თეთრი)ლარს.**

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.

3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 30 სექტემბრისა.**

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. თბილისი.**

3.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

4.1 ხელშეკრულება ძალაშია **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.**

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით მიმწოდებლის და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირები) ხელმოწერებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია გამგეობის აპარატის უფროსი – თეა ცხადაძე.

5.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს იგი უფლებამოსილია მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულება'ზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".

5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი**

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში;

6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს;

6.3. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი რომელიც აფერხებს მისი გამოყენების მაჩვენებელს;

6.4. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობის „მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

6.5. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ ასეთი შემთხვევას ექნება ადგილი;

6.6. თუ „მიმწოდებელი" ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. ანგარიშსწორება მოხდება 2017 წლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვაკის რაიონის გამგეობისთვის გამოყოფილი სასოფლებებით.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის;

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. მუხლში მოხსენიებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს მიწოდების ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლის გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლის თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე;

7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 დღის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაუფინანსებლობის შემთხვევაში აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ის შესაძლო საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება მას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად;

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის" მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ვეტაობრივი ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9 გარანტია

შესყიდვის ობიექტზე გარანტია არ ვრცელდება.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, ფასი მოცულობა, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლითა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნის მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს;

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.4 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით;

12.5 თუ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, „მიმწოდებელი" ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება 5.2. და 5.3 პუნქტებით გათვალისწინებული წესით;

12.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

15.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან;

15.2. ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის (უფლებამოსილი პირი) - პარატის უფროსი - თეა ცხადაძე.

15.3. შემოწმების მედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" ნუნდების მიზეზების მითითებით;

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
16.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად;
16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით;
16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის მესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის	შპს „ქარავანი+"
ვაკის რაიონის გამგეობა	
მის: ქ. თბილისი თამარაშვილის ქ. #10ა	მის: ქ. თბილისი, ა. ტერეველოს 30.
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"
კოდი: TRESGE22	კოდი: TBCBGE22
ა/ა№ GE24NB0330100200165022	ა/ა№ GE65TB1163736020100001
ს/კოდი: 204872539	ს/კოდი: 202191886
გამგებელი	დირექტორი
ნიდარ ტურძელაძე	ნ. ფარადაშვილი

დანართი N1

ხარჯთაღრიცხვა

#	დასახელება		გაზომ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ დირებულება
	დეურბინდი Bauer 8x56(19856)		ცალი	1	680	680
	სულ		ცალი	1	680	680

გამგებელი

ნოდარ ტურძელაძე

დირექტორი

ნ. ფარადაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი

04 სექტემბერი 2017 წელი

ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 03 ივლისის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ დეურბინდის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2017 წლის 04 სექტემბრის გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე გაფორმებულ N10.31/10/63 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან შპს „ქარავანი" - თან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ვაკის რაიონის გამგებელი

ნოდარ ტურძელაძე

გამგეობის აპარატის უფროსი

თეა ცხადაძე